სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

51 ივანე ჯავახიშვილის ქუჩა
0102 თბილისი, საქართველო
1505
info@ssa.gov.ge

16 აგვისტო 2024

SSA 5 24 00875060

ქალბატონ ნინო აფაქიძეს
პ/ნ 61001070685
მისამართი: პეკინის ქ. N2, თბილისი.

ელექტრონული ფოსტა: foi+request-3143-0ddbd4b1@askgov.ge
მობილური ტელეფონი: 551 16 06 69;

ქალბატონო ნინო,

სოციალური მომსახურების სააგენტოში შემოსული თქვენი 2024 წლის 13 აგვისტოს წერილის პასუხად (სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი: N864423, 14.08.2024წ.), სოციალურად დაუცველი ოჯახების გადამოწმების, სარეიტინგო ქულის მინიჭებისა და საარსებო შემწეობის დანიშვნის თაობაზე, გაცნობებთ რომ:

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის შესაბამისად, მინიჭებული სარეიტინგო ქულა მყარი ერთეულია, რომლის შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია მისი მინიჭებიდან სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ.

ვადამდე ოჯახის გადამოწმება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება წევრთა რაოდენობაში (დემოგრაფიული ცვლილება), ოჯახმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი, ოჯახის წევრს დაუდგინდა რაიმე სახის სტატუსი, ოჯახის წევრი დასაქმდა და მიიღო ლეგალური შემოსავალი ან დაკარგა სამუშაო. ასეთის არსებობის შემთხვევაში ოჯახის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მომხდარი ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

აქვე გაცნობებთ, რომ №126 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12[1] მუხლის თანახმად, „მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების გადამოწმება ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის გრაფიკის შესაბამისად.

მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, ოჯახს უფლება აქვს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, პირველადი რეგისტრაციის განაცხადით მომართოს სააგენტოს სოციალური მომსახურების სერვის ცენტრს, რის საფუძველზეც, განაცხადში მითითებულ მისამართზე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ოჯახში ვიზიტს განახორციელებს სააგენტოს უფლებამოსილი პირი.

ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმება ხორციელდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მოწოდებული და ხელმოწერით დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე ივსება „ოჯახის დეკლარაცია“.

თითოეული ოჯახისათვის სარეიტინგო ქულის მინიჭება წარმოადგენს კომპლექსური ხასიათის პროცედურას და დამოკიდებულია

სხვადასხვა ცვლადებსა და მათ ერთობლიობაზე, რომლებიც ასახულია „ოჯახის დეკლარაციაში“. დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით და მასში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ გამოყენებით მიიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა. შესაბამისად, სარეიტინგო ქულის ოდენობა აგრეგირებული მაჩვენებელია ყველა იმ მონაცემის, რაც დეკლარაციაშია ასახული და მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ცვლადი არ შეიძლება განაპირობებდეს სარეიტინგო ქულის ოდენობას.

სარეიტინგო ქულის ოდენობა განსაზღვრავს მოიპოვებს თუ არა ოჯახი ფულადი სოციალური დახმარების - საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლებას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის 1^1 მუხლის თანახმად, „უსინათლო პირის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას, სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ გამოყენებული უნდა იქნეს სატელეკომუნიკაციო საშუალება, რათა მოხდეს სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ „ოჯახის დეკლარაციის“ შევსების პროცესის ჩაწერა ელექტრონული მოწყობილობის მეშვეობით, ოჯახის უფლებამოსილი პირის თანხმობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.“

დამატებით გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ დადგენილებებსა და სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: ,,https://ssa.moh.gov.ge/". ნორმატიული აქტები შეგიძლიათ იხილოთ სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ,,www.matsne.gov.ge''.

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი
მანანა ხაჩიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად